



ქარიშხალი (შტორმი)

შესავალი

ქარიშხალი ძლიერი ქარის, რომლის სიჩქარე მიწის ზედაპირიდან 20 მ/წ აღემადება და ზღვაზე დიდ ღელვას იწვევს, ხოლო ხმელეთზე ნაგებობათა დაზიანებასა და ნგრევას. ქარი წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირის არათანაბარი გათბობით (მაღალი წნევის არათანაბრობით). რაც უფრო მეტი იქნება ადგილებს შორის ტემპერატურული ან ატმოსფერული წნევის სხვაობა, მით უფრო მეტი სიძლიერის იქნება ქარი.

როგორ მოვემზადოთ ქარიშხლისათვის:

შტორმული ხასიათის ღრუბლების ფრონტის სწრაფად მოახლოებით შეიძლება შტორმის რამოდენიმე ათეული წუთით ადრე ამოცნობა, ამ დროს საჭიროა აივანზე ან ეზოში ცუდად დამაგრებული საგნების გამაგრება, ან დახურულ სივრცეში შეტანა; კარ-ფანჯრის და ქაღალდების ჩაკეტვა.



რა გავაკეთოთ ქარიშხლის შემთხვევაში შენობაში

- დაკეტეთ ფანჯრები და კარები. ნუ დადგებით ფანჯარასთან რადგან მისი ჩამსხვრევის შემთხვევაში შეიძლება დაზიანდეთ. სჯობს შიდა ოთახში შესვლა, რომელსაც არ აქვს ფანჯრები (დერეფანი, აბაზანა, და სხვა).
- გამორთეთ ელექტრომოწყობილობა.
- დარჩით სახლში ქარიშხლის დასრულებამდე. გახსოვდეთ, რომ ქარიშხლის დასრულების შემდეგ ის შეიძლება ფანქვოდეს.
- თუ შენობა დაზიანდა, მაგალითად აეხადა სახურავი, სჯობს ქარიშხლის დასრულებამდე გადაინაცვლოთ შენობის შედარებით დაუზიანებელ მხარეს, ან დაიმალოთ მასიური ავეჯიშ ქვეშ.

გარეთ ყოფნის დროს


- თუ ქარიშხალმა ქუჩაში მოგისწროთ, ერიდეთ ჰაერში ატაცებულ ნივთებს. სასწრაფოდ მოძებნეთ თავშესაფარი მყარ შენობაში. საჭიროა თვალებისა და ცხვირ-პირის დაცვა მტვრისაგან.
- გახსოვდეთ, შენობებს შორის ვიწრო გასასვლელებში ქარის სიჩქარე უფრო იზრდება.
- თუ ბუნებაში იმყოფებით, ეცადეთ თავი შეაფაროთ მოფარებულ ადგილს. თუ ასეთი ადგილი თქვენს გარშემო არ არის, მაში დაწექით და მიეკარით მიწას.

ქარიშხლის შემდეგ

- ელექტროგადამცემი ხაზების გაწყვეტის შემთხვევაში, საშიშია მათთან მიახლოება, რადგან შეიძლება დენმა დაგარტყათ. უმჯობესია, მომხდარის შესახებ ადგილობრივ ადმინისტრაციას შეატყობინოთ, რათა უმოკლეს დროში მოხერხდეს პრობლემის მოგვარება; ხანძრის შემთხვევაში, უმჯობესია გარიდოთ მას და გამოიძახოთ სახანძრო სამსახური.
- არ მიუახლოვდეთ საეჭვოდ დახრილ საგნებს (ელექტროგადამცემი ბოძი, ხე, ანძა), რომლების შეიძლება შტორმს გადაურჩეს, მაგრამ მოგვიანებით მაინც წაიქცეს.
- გამოიჩინეთ სიფრთხილე გაზისა და ელექტრომოწყობილობების ხმარებისას: შესაძლოა გაზი ჟონავდეს, ხოლო თუ კი ელექტრომოწყობილობებს მაღალი ვოლტაჟის სადენი დაეცა, შესაძლოა ისინი მაღალი ძაბვის ქვეშ იყვნენ.
- თუ დაზიანებულ შენობაში იმყოფებით, ქარიშხლის დასრულების შემდეგ აიღეთ საჭირო ნივთები და გაერიდეთ შენობას.

with funding from

 Austrian
Development Cooperation



AUSTRIAN RED CROSS